დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია

1. დისერტაციის გაფორმება

1.1. ზოგადი დებულებანი

- **ენა:** დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე.

- **მოცულობა:** დისერტაციის მოცულობა როგორც წესი, უნდა იყოს არანაკლებ 100 და არაუმეტეს 180 გვერდისა, გაფორმებული წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

- **სტრუქტურა:** დისერტაციის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.

- **ქაღალდი:** დისერტაცია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნეს A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ტექნოლოგიური სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

- **მინდორი:** მარცხენა მხარე – 30 მმ, დანარჩენი მხარეები – 20 მმ ***(მხოლოდ ელექტრონული ვერსიისთვის).*** ამობეჭდილ და აკინძულ ვერსიაში დასაშვებია აღნიშნული სიდიდეებიდან გადახრა.

- **შრიფტი:** ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს შრიფტით **Sylfaen,** შრიფტის ზომა 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი (არ შეიძლება შემჭიდროვებული ტიპის შრიფტის გამოყენება).

- **გვერდების ნუმერაცია: ქვედა მარჯვენა კუთხეში** ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდის ნომრის განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10.

- **სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადი ტექსტის ინტერვალი უნდა იყოს 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვ.) ინტერვალი – 1.

- **თავებისა და ქვეთავების დასახელებები:** ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნეს ჩართული შინაარსში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

- **ლიტერატურის ციტირება:** ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში APA-ს აკადემიური სტილის შესაბამისად (იხილე დანართი).
http://shromebi.gtu.ge/admin/uploads/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1.pdf

- **სქოლიო: შრიფტის ზომა 10.** სქოლიო ავსებს და ამდიდრებს ტექსტში მოცემულ ძირითად ინფორმაციას. ტექსტში სქოლიოს ჩართვა მხოლოდ მაშინაა რეკომენდირებული, როდესაც ის აძლიერებს, ამყარებს ძირითად ტექსტში მიმდინარე მსჯელობასა თუ გამოთქმულ აზრს.
  სქოლიოში მხოლოდ ერთი აზრი უნდა იყოს მოცემული.

❖ **დისერტაციის შემადგენელი ნაწილები:** დისერტაციის გაფორმებისას აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების გათვალისწინება, გარდა ვარსკვლავით აღნიშნული პუნქტებისა.

სექცია	სტანდარტული ვერსია	საგამომცემლო ვერსია
სატიტულო გვერდი	☑	☑
ხელმოწერების გვერდი	☑	☑
საავტორო უფლების გვერდი	☑	☑
ვინმესთვის მიძღვნის გვერდი*	☑	☑
რეზიუმე (ორ ენაზე)	☑	☑
შინაარსი	☑	☑
ცხრილების ნუსხა	☑	☑
ნახაზების ნუსხა	☑	☑
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა *(აუცილებელია აბრევიატურის გაშლა)*	☑	☑
ანბანური საძიებელი*	☑	☑
მადლიერების გვერდი*	☑	☑
ძირითადი ტექსტი: შესავალი; ლიტერატურის მიმოხილვა; კვლევა; შედეგები და მათი განსჯა; დასკვნა	☑	☑
სქოლიო*	☑	☑
ციტირებული ლიტერატურის ნუსხა	☑	☑
დანართები*	☑	☑

❖ ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკული თვალსაზრისით, დასაშვებია დანართების განთავსება ციტირებული ლიტერატურის ნუსხის წინ.

1.2. შესავალი ნაწილის გვერდები

a) **სატიტულო გვერდი:** უნდა იყოს დადგენილი ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს დისერტაციის დასახელებას, დოქტორანტის გვარს, სახელს და ტექსტს:
„წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“,
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“,
„თბილისი, საქართველო“.
მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული დისერტაციის დაცვა. აღნიშნული გვერდის ნომერი არ მიეთითება *(სატიტულო გვერდის ნიმუში და ელექტრონული შაბლონი მოცემულია დანართში).*

b) **ხელმოწერების გვერდი:** უნდა იყოს დადგენილი ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები, შესრულებელი ლურჯი ფერის მელნით. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი. ხელმოწერების გვერდის ელექტრონული შაბლონი მოცემულია წინამდებარე ინსტრუქციის დანართში.

აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს:
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“;
ფაკულტეტის დასახელება;
ტექსტი: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით [სახელი გვარი] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის [საბჭოს დასახელება]

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად";
თარიღი.
ხელმოწერების გვერდი უნდა იყოს დამოწმებული ხელმძღვანელ(ებ)ისა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.

c) **საავტორო უფლების გვერდი:** უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ავთენტური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვ.) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, სადოქტორო პროგრამის დასახელებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს: „ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს" და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას".

d) **ვინმესთვის მიძღვნის გვერდი** ***(საჭიროების შემთხვევაში)***: აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. იგი არ უნდა აღემატებოდეს 30 სიტყვას.

e) **რეზიუმე (*აუცილებელი*):** უნდა მოიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვ. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს გაავრცელოს რეზიუმე როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12; სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის ენაზე. ქართულენოვან დისერტაციას უნდა დაერთოს აგრეთვე ინგლისური რეზიუმე, ინგლისურენოვან დისერტაციას – ქართულენოვანი რეზიუმე, ხოლო სხვა ენაზე შესრულებულ დისერტაციას – ქართულ და ინგლისურ ენებზე.

f) **შინაარსი (*აუცილებელი*):** დისერტაცია უნდა შეიცავდეს შინაარსს, რომელიც შესრულებული უნდა იყოს პროგრამა Word-ის შესაბამისი ფუნქციის მეშვეობით. ინტერვალი – 1. შრიფტის ზომა – 12. აბზაცებს შორის ინტერვალი – 6-12 პუნქტი.

g) **ცხრილების ნუსხა** ***(აუცილებელი).*** ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა – 12. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.", „–", „_".

h) **ნახაზების ნუსხა** ***(აუცილებელი).*** ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.",„–", „_".

i) **გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა** ***(საჭიროების შემთხვევაში)***: დისერტაციაში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული,

სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნეს მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.

j) **ანბანური საძიებელი (საჭიროების შემთხვევაში):** ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ანბანური საძიებლის დართვა.

k) **მადლიერების გვერდი *(საჭიროების შემთხვევაში):*** ავტორს აქვს უფლება სადისერტაციო ნაშრომში გამოხატოს მადლიერება ყველა იმ პირის მიმართ, ვინც გარკვეული დახმარება გაუწია (წვლილი შეიტანა ამა თუ იმ ფორმით) სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას. ამასთანავე, ყოველი დასახელებული პიროვნების შემდეგ უნდა იყოს მოკლედ და მკაფიოდ აღნიშნული მადლიერების მიზეზი (აღნიშნული პირის მიერ გაწეული დახმარების ფორმა, მაგ.: ფინანსური დახმარება, მივლინების ორგანიზება, კვლევისათვის საჭირო მასალებით დახმარება, კონსულტაცია და ა.შ.). აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. მისი ზომა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

1.3. ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას, მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკნას. თუ შედეგების განსჯა დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად, მაშინ დასაშვებია ლიტერატურის მიმოხილვისა და შედეგების განსჯის ერთმანეთთან შეჯერება.

a) **შესავალი:** შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნეს დისერტაციაში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოკლედ და ლაკონურად უნდა იქნეს დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სადისერტაციო ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია ვიწრო დარგის სპეციალისტებისათვის და არა მკითხველთა ფართო მასისათვის. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

b) **ლიტერატურის მიმოხილვა:** ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემული უნდა იქნეს შემდეგი კითხვები: საიდან მომდინარეობს დისერტაციაში დასული პრობლემა? რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ? რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლების გადაჭრისათვის? რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში?
ლიტერატურის მიმოხილვაში ძირითადად აქცენტი უნდა მოხდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ მასალაზე (თუ სადისერტაციო ნაშრომი არ ეძღვნება ისტორიული ხასიათის პრობლემას). ლიტერატურის მიმიხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 30%-ს.

c) **შედეგების კვლევა:** შედეგების კვლევის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

d) **შედეგების განსჯა:** შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

e) **დასკვნა:** სადისერტაციო ნაშრომში აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნეს მოკლედ და ლაკონურად.

1.4. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა

a) **ზოგადი დებულებანი:** ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ციტირებულ ლიტერატურაში წყარო უნდა მიეთითოს იმ ენაზე, რა ენაზეცაა ის დაწერილი. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნეს დაცული APA სტილით.

APA სტილის გამოყენების დეტალური ინსტრუქცია:

http://shromebi.gtu.ge/admin/uploads/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1.pdf

როდესაც გამოიყენება პირდაპირ ციტატა, ან ხდება ტექსტის შეჯამება ან პერიფრაზირება, უნდა მიეთითოს წყარო. ის ფრჩხილებში ჩაიწერება და შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- წყაროს ავტორის (ავტორების) გვარს,
- გამოცემის წელს;
- გვერდის ნომერს/ნომრებს, თუ ეს შესაძლებელია;

თუ ციტატა დიდია:

- უნდა გამოვიყენოთ ფორმატი, რომელშიც ციტატის ყველა სტრიქონი არის ჩაჭრილი ზღვრიდან დაახლოებით ½-ით;
- არ უნდა გამოვიყენოთ ბრჭყალები;
- მკითხველს უნდა გავაცნოთ ციტატა სრული წინადადებითა და ორწერტილით.

მაგალითად:

ვანგი, ჯონსთონი, და მარკსი (2010) აღწერენ დროის ეფექტურ მენეჯმენტს, როგორც მიმდინარე პროცესს:

> დროის მენეჯმენტი არ არის უნარი, რომლის გამომუშავება შესაძლებელია ერთდროულად; საჭიროა თვითშემეცნება, დაგეგმვა, შესრულება და რეფლექსია. დროის მენეჯმენტის აღქმა არის ის, რომ სამუშაო სრულდება განრიგის შექმნის შემდეგ. სინამდვილეში, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია.
> წარმატებული სტუდენტები ადაპტირებულები და მოქნილები არიან; მათ შეუძლიათ განრიგში ცვლილებების შეტანა, რადგან მათ შეუძლიათ მიზანმიმართულად და პრაქტიკულად გადაიტანონ ამოცანები ახალ სიტუაციებთან შესაგუებლად. (გვ. 27)

ციტირებული ლიტერატურის გაფორმების წესი:

1. გადაწყვიტეთ ტექსტის რომელ ადგილას დაამატებთ მოკლე ციტატას და მაუსით დააწკაპუნეთ იმ ადგილას. Word-ის მთავარი გვერდიდან გადადით ბმულებზე. აირჩიეთ სასურველი ციტირების სტილი:



2. შემდეგ დააჭირეთ „ბმულის დამატებას“ და „ახალი წყაროს დამატებას“



3. გამოვა შემდეგი ველი, სადაც ჯერ უნდა აირჩიოთ წყაროს ტიპი, მაგ., წიგნი, სტატია და შემდეგ ცარიელი ველები შეავსოთ ინფორმაციით.



4. ეს არის მთავარი ველები, თუმცა, მეტი ინფორმაციის ჩასაწერად შეგვიძლია მარცხენა ქვედა კუთხეში დავაწკაპუნოთ ღილაკზე „აჩვენეთ ლიტერატურის ყველა ველი“ და გადაიშლება ყველა ველი. როდესაც დაამთავრებთ ჩაწერას, შეინახეთ ეს ველები „OK” ღილაკზე დაწკაპუნებით.



5. ლიტერატურის სიის დასამატებლად გადადით ნაშრომის ბოლო გვერზე და დააწკაპუნეთ „ლიტერატურის სიაზე“, შემგეგ კი „ლიტერატურის სიის დამატებაზე“. ნაშრომში ჩაწერილი ყოველი მოკლე ტექსტური ციტატა ვრცლად გადაიშლება ლიტერატურის სიის ნაწილში



1.6. დანართი

a) **ზოგადი დებულებანი:** დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა.

b) **საავტორო უფლებები:** როდესაც დისერატაციაში გამოყენებულია საავტორო უფლებებით დაცული მასალები, მაშინ დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი.

2. ელექტრონული ვერსია

სადისერტაციო ნაშრომი უნდა ჩაიწეროს *.pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე, ან სხვა ელექტრონულ მატარებელზე. დისკზე უნდა იქნეს მითითებული ავტორის გვარი, სახელი და დისერტაციის დასახელება.

3. საგამომცემლო ვერსია

a) **ზოგადი დებულებანი:** ავტორს აქვს უფლება განახორციელოს სადისერტაციო ნაშრომის ოპტიმიზაცია გამომცემლობის შესაბამის მოთხოვნებიდან გამოდინარე, ისე, რომ არ დაირღვას ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა. თუ დისერტაციაში ჩართული იქნება უკვე გამოქვეყნებული სტატიები, მაშინ ისინი უნდა განთავსდნენ ცალკეული თავის სახით.

b) **ფორმატირება:** ფორმატირება თანხმდება გამომცემლობასთან. ამასთან ძირითადი სტრუქტურა არ უნდა იქნეს შეცვლილი. თუ სტატიები იქნება ჩართული დისერტაციაში, მაშინ სტატიების ფორმატირებისათვის აიღება შესაბამისი ჟურნალის ფორმატირების სტილი.

c) **ქაღალდი:** დისერტაციის საგამომცემლო ვერსია უნდა შესრულდეს A5 ფორმატის ქაღალდზე.

d) **საავტორო უფლებები:** თუ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული იქნება ისეთი მასალა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (მაგალითად ილუსტრუციები, სპექტრები, ნახატები და სხვა), მაშინ ავტორი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ნებართვა შესაბამისი გამომცემლობიდან ან ავტორისგან მათი გამოყენების შესახებ. ყოველი საავტორო ნებართვის შესაბამისი წერილი უნდა იქნეს ჩართული ნაშრომში დანართის სახით.

სახელი გვარი

სადისერტაციო ნაშრომის დასახელება

<u>წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად</u>

სადოქტორო პროგრამა ----------

შიფრი -------

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

20----- წ

საავტორო უფლება © 20--- წელი დოქტორანტის სახელი, გვარი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი _____

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **სახელი, გვარი** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **სადისერტაციო ნაშრომის დასახელება** და ვამლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ---------- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

- - - - - -, - - - - - - 20-- წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: პროფესორი

პროფესორი

რეცენზენტი:_____

რეცენზენტი:_____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

20__წ

ავტორი: სახელი, გვარი

დასახელება: სადისერტაციო ნაშრომის დასახელება სადოქტორო პროგრამა:

ხარისხი: მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.